

## ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) ძირითადი დანიშნულებაა, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის, მართვის ეფექტიანობის ამაღლებაზე ზრუნვა.

აღნიშნული მიიღწევა შესაბამისი მექანიზმების შემუშავების, პროცესების მონიტორინგის და შეფასების, შემდგომი რეკომენდაციების შემუშავების და დანერგვის გზით.

ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა.

აღნიშნულის გათვალისწინებით დეპარტამენტი განხორციელებს სხვადასხვა საქმიანობის სტიმულირებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათ შორის:

- ა) შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის/შემუშავების, განხორციელების, შემოწმების და განვითარების მეთოდოლოგიას;
- ბ) შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზე განახორციელებს პროგრამების მონიტორინგსა და ექსპერტიზას, შედეგად – შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს მათ გასაუმჯობესებლად;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლების და განვითარების მიზნით, ორგანიზებას უწევს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და ახდენს შედეგების ანალიზს;
- დ) ახდენს სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, სერვისების შეფასების შედეგების ანალიზს;
- ე) შეიმუშავებს საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის განვითარების მექანიზმებს;
- ვ) შეიმუშავებს აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების და თვითშეფასების ინსტრუმენტებს;
- ზ) მონაწილეობს ადმინისტრაციის შეფასების და თვითშეფასების მექანიზმების შემუშავებაში;
- თ) შეიმუშავებს სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის და ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევის მექანიზმებს;
- ი) შეიმუშავებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს და უზრუნველყოფს მათ გამოყენებას;
- კ) შეიმუშავებს მართვის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტებს;
- ლ) შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტებს;
- მ) ახორციელებს/ხელს უწყობს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას;
- ნ) მონიტორინგის საფუძველზე აყალიბებს რეკომენდაციებს;
- ო) ახორციელებს SWOT ანალიზს.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, ადამიანური რესურსებისა და სტუდენტური

სერვისების დეპარტამენტთან ერთად, ადგენს სამიზნე ნიშნულებს პერსონალთან მიმართებით და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.

**აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის სამიზნე ნიშნულებია:**

- სასწავლო საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება
- სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება
- განვითარებაზე ზრუნვა

**ადმინისტრაციული /დამხმარე პერსონალისატვის სამიზნე ნიშნულებია**

- საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება
- თვითგანვითარებაზე ზრუნვა
- განვითარებაზე ზრუნვა

საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა, აგრეთვე დასაქმების ბაზრის კვლევა/დამსაქმებელთა ინტერვიუება, ასევე კურსდამთავრებულთა ინტერვიუება.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი განახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელების შედეგების შეფასებას, ახდენს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებას.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, აგრეთვე გამოკითხვის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავებს ანგარიშს/რეკომენდაციებს თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და სხვ. შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: გარდა პროგრამების ექსპერტიზისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგისა, კვლევის

ჯგუფში ჩართულია სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები და სტუდენტები.

### საგანმანათლებლო პროგრამის ტექნიკური მონიტორინგი და აკადემიური ექსპერტიზა

საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის განხორციელების მიზნით, შეფასებას ექვემდებარება პროგრამების ფორმალური შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე, აგრეთვე შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია პროგრამის შინაარსობრივი ასპექტების შეფასება მათი გარე და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციით განმტკიცებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. შეფასების პროცესში უნდა შემოწმდეს:

- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N65/ნ და 99/ნ ბრძანებებით დამტკიცებული დებულებების მოთხოვნებთან;
- პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის შესაბამისობა ახალ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მოთხოვნებთან;

- პროგრამის შესაბამისობა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებთან.

ასევე მოწმდება:

- შემუშავებულია თუ არა პროგრამა უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურის დაცვით;
- არსებობს თუ არა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი;
- რამდენად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პროგრამის მიზანი;
- შესაბამეა თუ არა პროგრამის მიზანი დაწესებულების მისიას;
- არსებობს თუ არა შესაბამისობა პროგრამის მიზანსა და შედეგებს შორის;
- არსებობს თუ არა შესაბამისობა პროგრამის შედეგებსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ კვალიფიკაციათა აღმწერს შორის;
- რამდენად შეესაბამება პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საგანმანათლებლო პროგრამას და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- შეესაბამება თუ არა სწავლების და შეფასების მეთოდები პროგრამის მიზანსა და შედეგებს;
- შეესაბამება თუ არა სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) პროგრამის მიზანსა და შედეგებს;
- რამდენად რელევანტურია არჩევითი საგნების რაოდენობა;
- რამდენად სწორად არის მინიჭებული კრედიტების სასწავლო კურსებისათვის და პროგრამის სხვა კომპონენტებისათვის, აგრეთვე რამდენად სწორად არის განაწილებული კრედიტები არჩევით და სავალდებულო, სასწავლო და სასწავლო-კვლევით კომპონენტებს შორის;
- როგორ არის განაწილებული საათები სტუდენტის დატვირთვის სახეების მიხედვით;
- ითვალისწინებს თუ არა პროგრამა სასწავლო ან სხვა სახის პრაქტიკას და, თუ ითვალისწინებს - როგორ არის ის დაგეგმილი;
- ხომ არ წარმოადგენს პროგრამის რომელიმე სასწავლო კურსი სხვა კურსის ან სხვა პროგრამის სასწავლო კურსის დუბლირებას;
- არსებობს თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, სადაც დაგეგმილია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება;
- სწორად არის თუ არა მითითებული დასაქმების სფეროები და რამდენად რეალურია ისინი (შესაბამისობა სწავლის შედეგებთან);
- უზრუნველყოფს თუ არა პროგრამის განხორციელებას არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- რამდენად უზრუნველყოფილია პროგრამა საბიბლიოთეკო ფონდით;
- რეალურად უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
- რამდენად სრულყოფილად არის შევსებული სილაბუსის ყველა პუნქტი;
- დაცულია თუ არა სილაბუსში შესაბამისობა სასწავლო კურსების მიზნებსა და შედეგებს შორის;
- დაცულია თუ არა სილაბუსში შესაბამისობა სასწავლო კურსების მიზნებსა და სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიას შორის;
- დაცულია თუ არა სილაბუსში შესაბამისობა სასწავლო კურსების შედეგებსა და შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს შორის;
- დაცულია თუ არა სილაბუსში შეფასების შესაბამისობა დადგენილ წესთან;
- რამდენად სწორადაა სილაბუსში განსაზღვრული სასწავლო კურსის წინაპირობები;
- დაცულია თუ არა სილაბუსში კრედიტების (საათების) განაწილების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან;
- შეესაბამება თუ არა სასწავლო კურსის მიზნებს და სწავლის შედეგებს სასწავლო კურსის შინაარსი;

- შეესაბამება თუ არა სასწავლო კურსის მიზნებს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა;
- აქვს თუ არა პროგრამას მიზნების და შედეგების რუკა;
- აქვს თუ არა პროგრამას სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა;
- აქვს თუ არა სილაბუსს სწავლის შედეგების გაზომვის მიზნით შედეგების და შეფასების მეთოდების რუკა.


ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკურ მონიტორინგსა და აკადემიურ ექსპერტიზას განხორციელებს პროგრამის შემუშავების/მოდულიზაციის პროცესში და არსებულ რეგულაციებზე დაყრდნობით პროგრამა გადის შემდგომ საფეხურებს.

### საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი შეისწავლის და განაზოგადებს პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის და პროგრამების განხორციელების შეფასების მონაცემებს და, შედეგად, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი შემდგომი განვითარებისა და უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის მიზნით.

ანკეტირების ჩატარების დინამიკა (მაგალითი)

მუშაობის მიმდინარეობის სქემა



საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის არქიტექტონიკა შემდეგნაირია: კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის მიზანია ალტერნატიული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და უნივერსიტეტის რეიტინგის ზრდას. ასევე აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის პოტენციალის შეფასება და მათ განვითარებაზე ზრუნვა.

კვლევის ამოცანები

აღნიშნული კვლევის მიზნის მისაღწევად დაისახება შემდეგი რიგის ამოცანები:

- 1) კვლევის დიზაინის/მეთოდის შერჩევა
- 2) კითხვარების შემუშავება თითოეული დაინტერესებული მხარისათვის
- 3) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/კითხვარის ადმინისტრირება:

- აკადემიური/მოწვეული პერსონალი ( დანართი N1)
- დამსაქმებლები ( დანართი N2)
- კურსდამთავრებულები ( დანართი N3)
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ( დანართი N4)
- სტუდენტები ( დანართი N5) (დანართი N5.1) (დანართი N5.2)

4) კითხვარებით მიღებული მონაცემების გაწმენდა და დამუშავება/ანალიზი თითოეული პროგრამისათვის;

5) რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება.

კვლევის უპირატესობები

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მაღალი ხარისხი. აღნიშნული უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის საშუალებით. ასეთი მიდგომა ზრდის გამჭვირვალობის ხარისხსა და ხელს უწყობს უნივერსიტეტში მართვის დემოკრატიული ფორმების წახალისებას. ასევე, კვლევაში ჩართულობით იზრდება აკადემიურ პერსონალის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი. ამასთან, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შეჯერებით აკადემიური პერსონალი უფრო მეტად უახლოვდება პრაქტიკას და სტუდენტებს ეხმარება ისეთი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რომლებიც აქტუალურია დასაქმების ბაზარზე ან/და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა გარკვევით იცის დამსაქმებლის მოთხოვნების შესახებ, რაც გარკვეულწილად ზრდის მის სწავლის მოტივაციას.

კვლევის ნაკლოვანებები

როგორც ნებისმიერი კვლევის, ასევე აღნიშნული კვლევის შემთხვევაშიც არის საშიშროება, რომ კვლევაში მონაწილეები სუბიექტურად, თავიანთი კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, უპასუხებენ დასმულ კითხვებს. ასევე, მათი გარკვეული ნაწილი, პასუხის გაცემის დროს არ იქნება გულწრფელი. კიდევ ერთი გამოწვევა (როგორც ამას პრაქტიკა აჩვენებს) არის ის, რომ

დამსაქმებლების უმეტესეობა უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მომხრეა, მაშინ როცა აკადემიური პერსონალი უფრო მეტად აკადემიური ხაზის შენარჩუნებას ემხრობა. და ბოლოს, იმის გამო რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა, ან ჯერ არ არიან ცალკეულ პროგრამებზე კურსდამთავრებულები, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი დაინტერესებულ მხარეთა აღნიშნული ჯგუფების მოსაზრებები. კვლევის დიზაინი და მეთოდი

საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა განეკუთვნება როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივი კვლევის ტიპს. გამოიყენება გამოკითხვის შემდეგი მეთოდები: კითხვარი, ფოკუს ჯგუფი და ჩაღრმავებული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილე დამსაქმებელთა რაოდენობის სიმცირის შემთხვევაში, საჭირო ინფორმაციის ვერმოპოვების საშიშროების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენება ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. ფოკუს ჯგუფის მეთოდით მოიპოვება ინფორმაცია პროგრამის აკადემიურ პერსონალის შემთხვევაში. დანარჩენ ჯგუფებთან ონლაინ რეჟიმში იგზავნება კითხვარი.

კვლევაში ჩართვამდე, კვლევის ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებიდან გამომდინარე, მონაწილეებს ეცნობებათ: (1) კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ; (2) კვლევაში მონაწილეობის ანონიმურობის შესახებ.

კვლევის დაწყებამდე მუშავდება კითხვარები შემდეგი დაინტერესებული ჯგუფებისათვის:

- აკადემიური პერსონალი
- დამსაქმებლები
- კურსდამთავრებულები
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
- სტუდენტები

შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით გენერალიზებული პოპულაციიდან შეირჩევა საკვლევი ჯგუფები. საველე სამუშაოები, მათი საჭიროების შემთხვევაში, ტარდება უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მეთვალყურეობის ქვეშ.

საკვლევი ჯგუფი/შერჩევა

საკვლევი ჯგუფი შეირჩევა გენერალიზებული პოპულაციიდან შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით არსებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ამასთანავე უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული პროგრამა იძლევა საშუალებას საკვლევი ჯგუფი (სტუდენტები; აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი) სრულად იყოს გამოკითხული.

კვლევის შედეგების განხილვა და რეაგირება

დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევის ანალიზი წარედგინება დირექტორთა საბჭოს, ისახება გზები ხარვეზების აღმოფხვრის და ხარისხის ამაღლების კუთხით.

## საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგია და პროცედურები

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა:

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინიცირება შეუძლია პრეზიდენტს, ვიცე პრეზიდენტს და სკოლის დეკანს. პრეზიდენტი ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის ხელმძღვანელს, შესაბამისი სკოლის ბაზაზე ქმნის პროგრამის კომიტეტს, რომლის კოორდინაციაც ევალება სკოლის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს, პრეზიდენტის ან ვიცე პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული



ვადების გათვალისწინებით.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეები: შიდა დაინტერესებული მხარე - დარგის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული პერსონალი და სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში) და პროფესიული ორგანიზაციები, საზღვრავენ საბაზისო პირობების დაკმაყოფილებას:

- ისაზღვრება პროგრამის სოციალური საჭიროება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. (სოციალური საჭიროებების განსაზღვრა ხდება დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა) კონსულტაციის საფუძველზე;
- აკადემიური ასპექტების გათვალისწინებით ისაზღვრება, პროგრამა არის თუ არა მიმზიდველი;
- ხდება პროგრამისათვის აუცილებელი რესურსების არსებობის დადგენა (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) ან/და მოძიება;
- ხდება პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის შერჩევა.

#### საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება კლასიფიკატორით დადგენილ დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: შიდა დაინტერესებული მხარე - დარგის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული პერსონალი და სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში) და პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მხარეს შეაქვს თავისი წვლილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა გზით უნდა იყოს მიღწეული ისინი.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების დასკვნებსა და გადაწყვეტილებებზე. შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ინსტრუქციები და პროგრამების/კურსების წარდგენის ფორმები და სხვა.

პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან/სკოლის მისიასთან და უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის და სხვა მხარეების), შრომის და განათლების ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამაში იმპლიმენტირებული უნდა იყოს საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამა უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო, გასაგები ენით.

საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული-სკოლა. პროგრამის ხელმძღვანელი (პროგრამის კომიტეტის ხელ-ლი) ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად. უზრუნველყოფს პროგრამის თავსებადობას დადგენილ სტანდარტებთან, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის (შესაბამისი დანართებით) დროულ წარდგენას ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტისადმი.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი იძლევა მეთოდურ მითითებებს პროგრამის/სილაბუსის შედგენასთან დაკავშირებით, ახორციელებს პროგრამის/კომპონენტების მონიტორინგს და შესაბამისობის დადგენას მოთხოვნებთან. თანამშრომლობს პროგრამის განმახორციელებლებთან/ხელმძღვანელებთან, აწარმოებს პროგრამაში

ჩართულ პირებთან შეხვედრებს/ტრენინგებს, დეპარტამენტის წარმომადგენელი ჩართული შეიძლება იყოს პროგრამის კომიტეტის საქმიანობაში როგორც წევრი. პროცესებიდან გამომდინარე, დეპარტამენტი განსაზღვრავს პროგრამის საბოლოო შემუშავების დროს და ახდენს შესრულების მონიტორინგს.

პროგრამის კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანიზებას უკეთებს პროგრამის შემუშავების პროცესს, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში და პროგრამის პროექტს წარუდგენს განსახილველად სკოლის საბჭოს.

სკოლის საბჭოს მიერ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის ცვლილებების პროექტი, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართებით და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, იგზავნება ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტში.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის შესახებ, რომელსაც წარუდგენს ვიცე პრეზიდენტს და სკოლის საბჭოს განსახილველად.

დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის წარდგინების თაობაზე დირექტორთა საბჭოსადმი. ხოლო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, საბჭო აბრუნებს პროგრამის პაკეტს პროგრამის კომიტეტთან, მასში ცვლილებების შეტანის მიზნით. დირექტორთა საბჭო საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს წარმოდგენილი სახით ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება ზემოაღნიშნული პროცედურის შესაბამისად.

პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წელს დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, დარგობრივი სტანდარტი (არსებობის შემთხვევაში) ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)), ალტე უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი“, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და სხვა.

- ისაზღვრება პროგრამის აკადემიური ხარისხი
- დგინდება პროგრამის მიზნების უსდ-ს მისაისთან და სკოლის მიზნებთან და სტრატეგიებთან შესაბამისობა
- აღიწერება პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები და ხდება მათი დადარება
- ისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა
- ისაზღვრება სასწავლო კურსის პროგრამები და აქტივობები. ხდება საერთო სწავლის შედეგებთან დადარება



- ისაზღვრება სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების კომპონენტები და მეთოდები
- გაითვალისწინება შრომის ბაზრის ანალიზი/მიმოხილვის შედეგები
- ხდება დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან
- სხვა ასპექტები

საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება/განვითარება:

ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე, პროგრამის განვითარების მიზნით, ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი ახორციელებს კვლევას და/ან მონაცემთა დამუშავებას, რომლის სპეციფიკაცია მოცემულია აღნიშნულ დოკუმენტში. დეპარტამენტის ანალიზი (ანგარიში) და რეკომენდაციები წარედგინება უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს შემდგომი რეაგირებისათვის. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება შემდეგი წესით:

კვლევის შედეგების პროგრამაში ასახვის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას განმახორციელებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარესთან ერთად (პროგრამის კომიტეტი) და წარუდგენს სკოლის საბჭოს, მოდიფიცირებული პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს დასამტკიცებლად.

ამასთანავე, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე, გარე შეფასების საფუძველზე, სხვა დასაბუთებული ინიცირების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება.

გარე შეფასება:


გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამის შეფასება ხორციელდება პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე), მიერ რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროგრამას.


პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები ეგზავნება აღნიშნულ დაწესებულებას მათზე მოსაზრებების და რეკომენდაციების გამოთქმის და პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. აღნიშნული გამოხმაურებები განიხილება პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ და სამომავლო ქმედებების განხორციელების შესახებ მოსაზრებები წარედგინება სკოლის საბჭოს. პროგრამის მოდიფიცირების საჭიროების შემთხვევაში პროგრამა გადის შიდა რეგულაციებით დადგენილ პროცედურებს.

გარე შეფასება ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ.

შენიშვნა: 2 წელიწადში ერთხელ ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.


ხარისხის განვითარების დინამიური წრე





ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს.

### ციკლი



საგანმანათლებლო პროგრამის ჯეროვნად განხორციელების მიზნით, ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი ახდენს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას (დანართი N6), რის საფუძველზეც შეიმუშავებს და პერსონალს გააცნობს რეკომენდაციებს. იგივე ფორმა შეიძლება იქნას გამოყენებული კოლეგიალური შეფასების მიზნით.

შენიშვნა: ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში იმავე სემესტრში ხდება პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვაზე განმეორებითი დაკვირვება.

ანალიზი წარედგინება დირექტორთა საბჭოს.

### სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დასერვისების შეფასება

უნივერსიტეტი სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის ახორციელებს სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, სერვისების შეფასებას

#### სამიზნე ჯგუფები:

სტუდენტები; აკადემიური/მოწვეული პერსონალი; ადმინისტრაცია

#### გამოყენება შეიძლება კითხვარები

სასწავლო პროცესის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების კითხვარი-სტუდენტებისათვის (დანართი N7 )

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების კითხვარი (დანართი N8 )

უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა (დანართი N9 )

თანამშრომელთა (ადმინისტრაციის /დამხმარე პერსონალის) კმაყოფილების კვლევა (დანართი N 10)

უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი -სტუდენტებისათვის (დანართი N11 )

უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი-პერსონალისათვის (დანართი N12 )

სკოლის ადმინისტრაციის შეფასების კითხვარი-სტუდენტებისათვის (დანართი N13 )

სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვისთვის გამოიყენება:

- ა) სტუდენტების გამოვითხვა (დანართი N14 )
- ბ) ადმინისტრაციის გამოვითხვა (დანართი N15 )
- გ) პროგრამის ხელმძღვანელის გამოვითხვა (დანართი N16 )

კვლევის შედეგების განხილვა და რეაგირება

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება დირექტორთა საბჭოს, ისახება გზები ხარვეზების აღმოფხვრის და ხარისხის ამაღლების კუთხით.

**საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა**

უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების უზრუნველყოფისთვის ახორციელებს სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოვითხვას.

სამიზნე ჯგუფები:

სტუდენტები; აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

გამოიყენება შემდეგი კითხვარები

ინტერნაციონალიზაციის კითხვარი - სტუდენტებისათვის და პერსონალისთვის (დანართი N17 )

კვლევის შედეგების განხილვა და რეაგირება

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება დირექტორთა საბჭოს შემდგომი რეაგირებისათვის.

**სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შეფასება**

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება ხდება სპეციალური ანკეტა კითხვარებით, რომელიც მოიცავს ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ როგორც შიდა შეფასებას, ასევე პერსონალის თვითშეფასების ნაწილს.

დეპარტამენტი შეისწავლის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალთა თვითშეფასების ანგარიშებს, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კუთხით განახორციელებს შიდა შეფასებას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე დაგეგმავს შესაბამის ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებას, სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, სამეცნიერო

კვლევების განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების სრულყოფას.

გამოყენება შემდეგი კითხვარები

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შეფასება (დანართი N18 )

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის თვითშეფასება (დანართი N19 )

ნაშრომის ხელმძღვანელობის ეფექტურობის შეფასება (დანართი N20)

სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობა (დანართი N21 )

თვითშეფასების და შიდა შეფასების განხილვა და რეაგირება

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება დირექტორთა საბჭოს შემდგომი რეაგირებისათვის.

**ადმინისტრაციის/დამხმარე პერსონალის საქმიანობა და თვითშეფასების მექანიზმები**

უნივერსიტეტი ადმინისტრაციული პერსონალის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფისთვის ახორციელებს მათი საქმიანობის და თვითშეფასების ანალიზს.

გზა 1: ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება ელექტრონული პროგრამიდან აღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ასევე ტარდება მონიტორინგი პერსონალის მიერ შესასრულებელი მოვალეობების განხორციელების კუთხით.

გზა 2: პერსონალის ახორციელებს თვითშეფასებას 10 ქულიანი შკალით. იგივე შკალით ფასდება იგი გარე შეფასების გზით. შემდგომ ხდება გადახრის მაჩვენებლების გამოყვანა %-ლი დადარებით. სამიზნე ნიშნულია 2%-იანი გადახრის მაჩვენებელი.

სამიზნე ჯგუფები: ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი

გამოყენება შემდეგი კითხვარები

ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თვითშეფასების კითხვარი (დანართი N22 )

უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი -სტუდენტებისათვის (დანართი N11 )

უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი-პერსონალისათვის (დანართი N12 )

პერსონალის შეფასების ფორმა (დანართი N28)

კვლევის შედეგების განხილვა და რეაგირება

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტთან ერთად განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება პრეზიდენტს.

განხორციელებული შეფასების საფუძველზე ხდება პერსონალის სამუშაოს შეფასება და სამიზნე ნიშნულთან/გადახრის მაჩვენებელთან დადარება.

### სტუდენტთა, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევა

უნივერსიტეტი ხარისხის ამაღლების მიზნით ახორციელებს სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის და ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევას.

სამიზნე ჯგუფები: სტუდენტები; აკადემიური/მოწვეული პერსონალი; ადმინისტრაცია.

#### გამოყენება შემდეგი კითხვარები

უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა (დანართი N9 )

თანამშრომელთა(ადმინისტრაციის/დამხმარე პერსონალის)კმაყოფილებისკვლევა (დანართი N10)

უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი -სტუდენტებისათვის (დანართი N11 )

უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი-პერსონალისათვის (დანართი N12 )

სკოლის ადმინისტრაციის შეფასების კითხვარი-სტუდენტებისათვის (დანართი N13 )

სტუდენტების გამოკითხვა ( დანართი N5) (დანართი N5.1) (დანართი N5.2)  
დეკანის, სკოლის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური/მოწვეული პერსონალით კმაყოფილების კვლევა (დანართი N 5.4, 5.5, 5.6)

სასწავლო პროცესის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების კითხვარი- სტუდენტებისათვის (დანართი N7 )

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (ფოკუსჯგუფებში ინტერვიუებისთვის) (დანართი 31)

#### კვლევის შედეგების განხილვა და რეაგირება

ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება დირექტორთა საბჭოს შემდგომი რეაგირებისათვის.

### სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

უნივერსიტეტი ხარისხის ამაღლების მიზნით ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვებას სწავლის შედეგების მიღწევის ასპექტში. აღნიშნულის რეალიზებისთვის გამოყენებულია უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული სასწავლო პროგრამა, რომელიც თითოეულ სტუდენტზე იძლევა მონაცემებს აკადემიური მოსწრების პროგრესის შესახებ GPI ქულების გათვალისწინებით.



სამიზნე ჯგუფები:

სტუდენტები.

შედეგების განხილვა და რეაგირება

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება სკოლის საბჭოს. საჭიროების შემთხვევაში იმართება ინდივიდუალური კონსულტაციები (შიდა რეგულაციების გათვალისწინებით) სტუდენტებთან.

**მართვის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები**

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის ფუნქციაა, მართვის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით, განახორციელოს მონიტორინგი და მის საფუძველზე ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები.

უნივერსიტეტში იწარმოება „მართვის ელექტრონული პროგრამა“ რომელიც აღწერს მიმდინარე შესასრულებელ სამუშაოებს და სამსახურების მიერ ზოგადად განსახორციელებელ აქტივობებს. დროის მენეჯმენტის გათვალისწინებით, დეპარტამენტი გააკეთებს ანალიზს, რომელსაც შემდგომი რეაგირებისათვის წარუდგენს პრეზიდენტს და ვიცე პრეზიდენტს.

**ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების ეფექტიანობა**

უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყენება ინტერვიუების მეთოდი.

სამიზნე ჯგუფები:

ადმინისტრაცია; აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი; სტუდენტები

გამოიყენება შემდეგი კითხვარები  
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება (დანართი N25)

შედეგების განხილვა და რეაგირება

შედეგების განხილვის საფუძველზე არსებულ წესში შედის ცვლილებები.

**ელექტრონული/დისტანციური სწავლების შეფასების მექანიზმები**

უნივერსიტეტი ზრუნავს ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე მისი შეფასების და შემდგომი რეაგირების მეშვეობით.

სამიზნე ჯგუფები:

სტუდენტები; აკადემიური/მოწვეული პერსონალი

გამოყენება შემდეგი კითხვარები

ელექტრონული/დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი -სტუდენტებისათვის  
(დანართი N29)

ელექტრონული/დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი -აკადემიური/მოწვეული  
პერსონალისთვის (დანართი N30)

### შედეგების განხილვა და რეაგირება

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები წარედგინება პრეზიდენტს.

განხორციელებული შეფასების საფუძველზე ხდება დადებითი ეფექტების/ნაკლოვანი მხარეების გამოვლენა და მათი გაძლიერება/აღმოფხვრა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის და თანმიმდევრული განხორციელების გზით.

### პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები

ალტე უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების შემდეგი მექანიზმი:

1. ხდება სტუდენტების მიერ სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც მოიცავს პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების მაჩვენებელზე დაკვირვებას. არსებული მეთოდი საშუალებას იძლევა გავიგოთ, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული ლექტორების მიერ და რამდენად მაღალია სტუდენტთა მომზადების დონე. დიაპაზონი (გაუსის განაწილება) სტანდარტულად ნაწილდება შემდეგნაირად:

დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი - 10%

(B) ძალიან კარგი - 25% (C) კარგი - 30%

(D) დამაკმაყოფილებელი - 25% (E) საკმარისი - 10%

აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები:

- ✓ კრედიტების/საათების განაწილება დროში;
- ✓ სწავლების მეთოდები;
- ✓ თემატიკა;
- ✓ მოცულობა;
- ✓ შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ✓ ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;

- ✓ კურსის დამლევის წინაპირობა;
  - ✓ სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ
2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია შედეგების რუკა, რომელიც გამოიყენება სწავლის შედეგების ნაწილში (ხდება პროგრამის და სასწავლო კურსების/მოდულების სწავლის შედეგების დადარება) (დანართი N26)
  3. უნივერსიტეტში დანერგილია შეფასების ტექნიკა (მონიტორინგის სისტემა) რათა განვსაზღვროთ, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგებს.  
არსებული ტექნიკა ითვალისწინებს, რომ სასწავლო ელექტრონული პროგრამის საშუალებით განისაზღვროს პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადარდეს სამიზნე ნიშნულებს.
  4. გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები:
    - ა) პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია წერიითი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და სხვა.
    - ბ) არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, სტატისტიკური მაჩვენებლები და სხვა.
  5. სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, მასალები, მტკიცებულებები - სტუდენტთა ნაშრომები და სხვა

შედეგების შეფასებისას მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულები:

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის;

ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება;

სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი: სწავლის შედეგების მიღწევის პროცენტული განაწილების ანალიზი

სამიზნე ნიშნულები: პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია დადებითად შეფასებული სტუდენტთა საერთო რაოდენობის დახლოვებით 60 % (ზუსტ მაჩვენებელს თითოეულ პროგრამაზე, თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრავს პროგრამის კომიტეტი)

სამიზნე ნიშნულებთან დადარება: ხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის/რეგრესის დადგენის მიზნით.

სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა

1. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა ხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა და დადარდება პროცენტულ მაჩვენებლებს.

ინსტრუმენტები: სასწავლო ელექტრონული პროგრამა

მასალები: სტუდენტთა ნაშრომები და შეფასება; სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასება.

2. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება პროგრამაზე თანდართული შეფასების გეგმის (დანართი N27) მიხედვით იმ სემესტრის მომდევნო სემესტრში, როდესაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი.

პერიოდულობა: ყოველწლიური ინსტრუმენტები: შეფასების გეგმა

მასალები: სტუდენტთა მიღწევები; გამოკითხვის შედეგები; შედეგების ნიშნულებთან დადარების ანალიზი.

სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი:

ბაკალავრიატის საფეხურზე: 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვება

მაგისტრატურის საფეხურზე: 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვება

ზემოაღნიშნული პერიოდებისთვის მოხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა: სწავლის შედეგის მიღწევის პროგრესის/რეგრესის დაკვირვების და შემდგომი რეაგირების მიზნით.

შედეგების განხილვა და რეაგირება

დინამიკაში დაკვირვების შემდეგ, თუ გამოვლინდა რეგრესი (სამიზნე ნიშნულებთან დადარებისას) ხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და, შესაბამისად, პროგრამის მოდიფიცირება არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.

## SWOT ანალიზი

SWOT ანალიზის მეთოდოლოგია

მენეჯერული გადმოსახედიდან, SWOT ანალიზი ეფექტური მეთოდია ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის სტრატეგიული ხედვების შესაფასებლად. იგი ასევე წარმატებით გამოიყენება ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებისთვის და იმ შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესაფასებლად, რომელიც შრომის ბაზარზე არსებობს ორგანიზაციის პოზიციების გათვალისწინებით. პროფესიული კონსულტაციის და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით, SWOT ანალიზი ადაპტირებულია და გამოიყენება როგორც მოდელი, ტექნიკა, ინსტრუმენტი ადამიანის ძლიერი და სუსტი მხარეების და გარემო შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესაფასებლად.

SWOT ანალიზი გამოიყენება იმ გარემოს შეფასებასა და განვითარებაში, სადაც კონკრეტული მოქმედება/პროცესი მიმდინარეობს. ამასთანავე, მეთოდის მიზანია მიაღწიოს შიდა ფაქტორების (SW - ძლიერი და სუსტი მხარეები) და გარე ფაქტორების (OT - შესაძლებლობები და საფრთხეები) დაბალანსებას.

SWOT ანალიზი ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორის შეფასების საშუალებას იძევა. მისი დახმარებით შესაძლებელია: 1. შევასოთ საკუთარი ძლიერი მხარეები (Strength); 2. გავაანალიზოთ გარემო შესაძლებლობები, რომლებიც აქამდე არ გაგვიანალიზებია (Opportunities); 3. გავაცნობიეროთ ჩვენი სუსტი მხარეები (Weakness) და 4. ვიცოდეთ და თავიდან ავირიდოთ ის საფრთხეები, რომლებიც გარემოდან გვემუქრება (Threats).

როგორ გამოვიყენოთ SWOT ანალიზი?

იმისთვის, რომ SWOT ანალიზი წარმატებით იქნას გამოყენებული, პირველ რიგში ივსება

ანალიზის სამუშაო ფორმა (დანართი N24) და ჰასუხი გაეცემა ქვემოთ მოცემულ შუკითხვებს:

ძლიერი მხარეები:

რას ვაკეთებთ კარგად?

რა განსაკუთრებულ რესურსებს ვიყენებთ? რა ძლიერ მხარეებს ხედავენ სხვები ჩვენში?

სუსტი მხარეები:

რისი გაუმჯობესება შეგვიძლია? რაში გვაქვს მცირე რესურსი?

რა სისუსტეებს ხედავენ სხვები ჩვენში?

შესაძლებლობები:

რას შესაძლებლობებია ჩვენთვის ხელმისაწვდომი?

რა ტენდენციებზე გაამახვილებდით ყურადღებას?

როგორ აქცევდით ჩვენს ძლიერ მხარეებს შესაძლებლობად?

საფრთხეები:

რა საფრთხეებს შეუძლია მოგვაყენოს ზიანი? რომელი სისუსტე რა საფრთხეს შეიცავს?

ვინ არიან ჩვენი კონკურენტები? რითი გვჯობნიან?

### SWOT ანალიზის ციკლები

ციკლი 1:

SWOT ანალიზის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად თანამშრომელთათვის ტარდება საინფორმაციო შეხვედრა

ციკლი 2:

სამიზნე ჯგუფებს ეგზავნებათ SWOT ანალიზის შესავსები ფორმა

ციკლი 3:

განისაზღვრება კონკრეტული თარიღი შევსებული ფორმის წარმოსადგენად

ციკლი 4:

შევსებული ფორმების გამოყენებით ხდება კვლევის წარმოება

ციკლი 5:

ანალიზის შედეგები წარედგინება უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს

ციკლი 6:

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მიზნით შესრულებულ SWOT ანალიზზე დაყრდნობით დირექტორთა საბჭო გეგმავს ჩასატარებელ ღონისძიებებს და კანონმდებლობის

შესაბამისად ახდენს რეაგირებას დაგეგმილი ღონისძიებების, სამართლებრივი დოკუმენტაციის/საგანმანათლებლო პროგრამების, სტრატეგიულ გეგმაში (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) მოდიფიცირების გზით.

Swot ანალიზი ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ

შენიშვნა:

- ა) უნივერსიტეტში დასაშვებია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინიცირების და/ან საჭიროების შემთხვევაში დამატებითი გამოკითხვის/კვლევის ჩატარება
- ბ) მითითებული ანკეტირება/გამოკითხვა ხორციელდება საჭიროების შესაბამისად, ყოველწლიურად ან სხვა დროის დიაპაზონით.